დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

იანვარი, 2024

ბარსელონაში ანსამბლის „Vocal Vircan“ საახალწლო კონცერტი გაიმართა

4 იანვარს, ქ. ბარსელონაში, San Felipe Neri-ს ტაძარში, ქართულ-ესპანური პოლიფონიური ანსამბლის - „Vocal Vircan“ საახალწლო სოლო კონცერტი გაიმართა.
ანსამბლი, რომელსაც ირაკლი დევდარიანი ხელმძღვანელობს, ორ წელზე მეტია, რაც დაფუძნდა და დღითი დღე მეტ პოპულარობას იძენს როგორც საქართველოში, ასევე ესპანეთში.
კონცერტს ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ესპანელი სტუმრები, ასევე ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური კონსული, ალექსანდრე ჭკუასელი და ვიცე-კონსული, ლია ახალბედაშვილი.

ასოციაციამ „პატარა საქართველო სენ-ბრიეში“ საშობაო ღონისძიება გამართა

6 იანვარს, საფრანგეთის რესპუბლიკის ქ. სენ-ბრიეში, ასოციაციის „პატარა საქართველო სენ-ბრიეში“ ორგანიზებით, საშობაო ღონისძიება „ქართული ხალხური სპექტაკლი“ გაიმართა. ასოციაციასთან არსებულმა საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა მორთეს საახალწლო ნაძვის ხე, წაიკითხეს ლექსები და შეასრულეს ქართული სიმღერები.
ღონისძიებაზე პატარებს თოვლის ბაბუაც ეწვია და საახალწლო საჩუქრები დაურიგა.

ასოციაცია „ნანტი-თბილისის“ ორგანიზებით საახალწლო ღონისძიება გაიმართა

6 იანვარს, საფრანგეთის რესპუბლიკის ქ. ნანტში, ასოციაცია „ნანტი-თბილისის“ ორგანიზებით, ასოციაციასთან არსებულმა ქართული ცეკვის ანსამბლმა საახალწლო ღონისძიება გამართა.
ანსამბლის წევრები მაყურებლის წინაშე ქართული ტრადიციული ცეკვებით წარსდგნენ.

ატლანტაში საშობაო ღონისძიება გაიმართა

6 იანვარს, ქ. ატლანტაში, „ევროპული გამოცდილების ქართული ცენტრის“ პრეზიდენტის, ნინა კიკნაძის ორგანიზებით, საშობაო ღონისძიება გაიმართა.
მაყურებლის წინაშე მუსიკალური პროგრამით წარსდგა ქართველი მომღერალი და მსახიობი, გიორგი შალვაშვილი. კომპოზიტორმა და მომღერალმა ციური მჭედლიძემ შეასრულა აშშ-ში მცხოვრები ქართველი პოეტის, მაკა კვერენჩხილაძის ლექსზე დაწერილი სიმღერა - „ახალი წლის დებულება“.
ღონისძიების ფარგლებში, ასევე, მოეწყო ჯორჯიის შტატში მცხოვრები ქართველი მხატვრის, ილია ჩიტაძის ნამუშევრების გამოფენა.
ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ ქართული ტრადიციული კერძები. დეგუსტაციის ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღეს: ჯორჯის შტატში მცხოვრებმა, პროფესიით მსახიობმა ია შუბითიძემ, რომელიც ამჟამად კვების სექტორში საქმიანობს და სოციალური ქსელების ექსპერტმა და სადაზღვევო ბიზნესის სპეციალისტმა, ელენე გენგიურმა.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები.

დიასპორულმა ორგანიზაციამ „დიონისე“ საშობაო კონცერტი გამართა



7 იანვარს, ქ. ათენში, ქართულ-ბერძნულ თეატრალურ-კულტურულ ორგანიზაციასთან - „დიონისე“ არსებული თეატრალური დასის მსახიობებმა და ვოკალური ჯგუფის წევრებმა საშობაო კონცერტი გამართეს.

საღამოს წამყვანი გახლდათ „დიონისეს“ თეატრალური დასის მსახიობი, მწერალი და დრამატურგი ანა კელაპტრიშვილი-პაპაკანელუ.

ღონისძიების მზადებაში მონაწილეობა მიიღეს „დიონისეს“ თეატრალური დასის მსახიობებმა, ირაკლი გოგავამ, გიორგი ზივზივაძემ, დავით გოგოლაძემ და ლიკა ბრეგვაძემ.

ღონისძიებაზე შედგა დასის მსახიობის, გოჩა ხოსროშვილისა და ვოკალური ჯგუფის წევრების, გეორგია კოლივუსის და თეკლა გოგოლაშვილის დებიუტი.

კონცერტს ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ბერძენი სტუმრები.

თესალონიკში საშობაო თეატრალური წარმოდგენა გაიმართა

7 იანვარს, „თესალონიკის ქართული თეატრალური დასის“ ხელმძღვანელის, მალხაზ რაზმაძის ორგანიზებით, საშობაო თეატრალური წარმოდგენა გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს თესალონიკის ქართული საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა, რომლებიც ამავდროულად „თესალონიკის ქართული თეატრალური დასის“ პატარა მსახიობები არიან. ბავშვებმა, მშობლებთან ერთად წარმოადგინეს სპექტაკლი ,,ეპი, ოპი, საპი“, მალხაზ რაზმაძის რეჟისორობით.

მადრიდის ქართულმა საკვირაო სკოლამ „აისი“ შობის დღესასწაული იზეიმა

7 იანვარს, ქ. მადრიდის ქართული საკვირაო სკოლის „აისი“ (ხელმძღვანელი ლაშა ჩადუნელი) ორგანიზებით, შობის დღესასწაული აღინიშნა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა, რომლებმაც შეასრულეს საშობაო სიმღერები და ცეკვები. ზეიმის დროს ბავშვებს თოვლის ბაბუა ეწვია და საშობაოდ საჩუქრები დაურიგა.



ათენში ქართული ხალხური სიმღერების კონცერტი გაიმართა

10 დეკემბერს, ქ. ათენის ისტორიულ თეატრში „სტუდიო“, ათენის ქართული ინსტიტუტისა და კულტურის ცენტრის - „კავკასია“, ორგანიზებით, ასოციაციასთან არსებული ვოკალური ანსამბლისა და ქუთაისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მე-2 სამუსიკო სკოლის ფოლკლორული ანსამბლის ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

ანსამბლები მაყურებლის წინაშე ცნობილი ქართული ხალხური სიმღერებით წარსდგნენ.

ღონისძიება მიზნად ისახავდა საბერძნეთში ქართული პოლიფონიური მუსიკის პოპულარიზაციას.

კონცერტს ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსული, გელა ჯაფარიძე, უფროსი მრჩეველი, დავით კორძაძე, კონსულის თანაშემწე, ზურაბ ვაჩეიშვილი და საბერძნეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ღონისძიების დასასრულს გელა ჯაფარიძემ სამუსიკო სკოლის ფოლკლორული ანსამბლის მომღერლებს სამადლობელი სიგელები გადასცა და მათ წარმატებული და ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობა უსურვა.

იოსებ ნონეშვილის შემოქმედებითი საღამო ათენში

13 იანვარს, ქ. ათენის ინსტიტუტისა და კულტურის ცენტრის - „კავკასია“ ორგანიზებით, გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, იოსებ ნონეშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

ღონისძიების მონაწილეებმა წაიკითხეს პოეტის ცნობილი ლექსები, ხოლო ათენის მუსიკალური სტუდიის აღსაზრდელებმა ქართული სიმღერები შეასრულეს.

შემოქმედებით საღამოს ესწრებოდა პოეტის ვაჟი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ნონეშვილი, რომელმაც გაიხსენა იოსებ ნონეშვილის ცხოვრება და შემოქმედება, ისაუბრა პოეტის ბიოგრაფიულ დეტალებზე.

საღამოს მოდერატორობას უწევდა ათენის ქართული ინსტიტუტისა და კულტურის ცენტრის „კავკასია“ დამფუძნებელი, კლასიკური ფილოლოგიის დოქტორი, ავთანდილ მიქაბერიძე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული დავით კორძაძე, კონსული გელა ჯაფარიძე და ათენში მცხოვრები თანამემამულეები.

ნიუ-იორკში ხათუნა იოსელიანის 80 წლის იუბილე აღინიშნა

13 იანვარს, ქ. ნიუ-იორკში, ქართული კულტურის ცენტრის - „Dancing Crane Company“ ხელმძღვანელების, ვიქტორ და ლიკა სირელსონების ინიციატივით, აშშ-ში მცხოვრები ქართველი მსახიობის, ხათუნა იოსელიანის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიება გაიმართა.

სტუმრების წინაშე წარსდგნენ კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლეგენდები“ და აშშ-ში მოღვაწე ქართველი საოპერო მომღერალი, ბექა გოგინაშვილი.

ღონისძიებას ესწრებოდა ქ. ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური კონსული, მაია ბართაია. გენერალურმა კონსულმა ხათუნა იოსელიანს იუბილე მიულოცა, ხაზი გაუსვა მის ღვაწლსა და შემოქმედებას და მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის.

საფრანგეთის ქართული სათვისტომოს ორგანიზებით სტუდენტური საღამო გაიმართა

13 იანვარს, ქ. პარიზში, მეთხუთმეტე მერიის შენობაში, ასოციაციის - „საფრანგეთის ქართული სათვისტომო“ ორგანიზებით, საქართველოს მიერ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით, სტუდენტური საღამო გაიმართა.
ღონისძიებაზე მისული სტუმრების წინაშე წარსდგნენ საფრანგეთის ქ. ლე-ჰავრში მოქმედი ქართული ცეკვის ანსამბლი ,,კოლხიდა“ (ქორეოგრაფი - თეო ვარშანიძე) და ფოლკლორული ანსამბლი ,,მარანი“ (ხელმძღვანელი - ტარიელ ვაჩაძე).
ორგანიზაცია, ტრადიციულად, ყოველ წელს აწყობს მსგავსი ტიპის ღონისძიებებს, რომლებშიც საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულები.

ათენში ქართველი მომღერლების კონცერტი გაიმართა

14 იანვარს, ქ. ათენის ისტორიულ თეატრში „სტუდიო“, ათენის ინსტიტუტისა და კულტურის ცენტრის - „კავკასია“ ორგანიზებით, ქართველი მომღერლების კონცერტი გაიმართა.
თბილისიდან მოწვეულმა მომღერლებმა, დოდონა ნამორაძემ, ბარბარა სამხარაძემ და ანა უზნაძემ ცნობილი ქართული სიმღერები შეასრულეს, რამაც დარბაზში მყოფი ქართველი და ბერძენი მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.
კონცერტს ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული, დავით კორძაძე, კონსული გელა ჯაფარიძე და საელჩოს სხვა თანამშრომლები.
კონცერტის დაწყებამდე, დავით კორძაძემ სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორს, ათენის ქართული ინსტიტუტისა და კულტურის ცენტრის „კავკასია“ დამფუძნებელს, ავთანდილ მიქაბერიძეს და ღონისძიების მხარდამჭერებს. მან ასევე, თანამემამულეებს საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე მიულოცა და წარმატებული ახალი წელი უსურვა.

ასოციაციამ ,,საქართველოს რესპუბლიკა და ემიგრანტები“ დაარსებიდან 20 წლის იუბილე აღნიშნა

14 იანვარს, ესპანეთის სამეფოს ქ. ალიკანტეში, ასოციაციის - ,,საქართველოს რესპუბლიკა და ემიგრანტები“ (ხელმძღვანელი მანანა გოგოლაძე) ორგანიზებით, კალანდობის დღესასწაული, საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე და ორგანიზაციის დაარსებიდან 20 წლის იუბილე აღინიშნა.
დამსწრე საზოგადოების წინაშე ქართული ტრადიციული ცეკვებით წარსდგნენ ასოციაციასთან არსებული ქართული ცეკვის სტუდიის „იბერია“ აღსაზრდელები. საქართველოს სახელმწიფო დროშის დღესთან დაკავშირებით, დიასპორის წარმომადგენლებმა საქართველოს ჰიმნი შეასრულეს.
ღონისძიების ფარგლებში, ასევე, ჩატარდა ქართული ტკბილეულის კონკურსი, რომლის ჟიურის წევრები ესპანელი სტუმრები იყვნენ.

საკვირაო სკოლამ „ლაზარე“ საშობაო ღონისძიება გამართა

14 იანვარს, აშშ-ში, ნიუ ჯერსის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის ქართულ ეკლესიასთან არსებულმა საკვირაო სკოლამ „ლაზარე“ საშობაო ღონისძიება გამართა.
სკოლის აღსაზრდელებმა წაიკითხეს საშობაო და საახალწლო ლექსები, შეასრულეს საშობაო საგალობლები და საახალწლო სიმღერები, მაყურებელს მოუთხრეს ისტორია შობის პირველი ხის შესახებ და გააცნეს სხვა ქვეყნების შობა-ახალი წლის აღნიშვნის ტრადიციები.
ღონისძიება ჩატარდა ორგანიზაციის ხელმძღვანელის, დეკანოზ მატათა ქორჩილავას, სკოლის პედაგოგების - ირმა გვაზავას, ხათუნა დარსაველიძისა და ლალი გიორგაძის ორგანიზებით.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის ეპისკოპოსი, მეუფე საბა (ინწკირველი), ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად, ქ. ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური კონსული, მაია ბართაია და ვიცე-კონსული, მიხეილ ჩხეიძე.

ქართულმა საკვირაო სკოლამ „იმედი“ ახალი წელი იზეიმა

14 იანვარს, იტალიის რესპუბლიკის ქ. ბარიში მოქმედი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის - „იმედი“ ორგანიზებით, საახალწლო ღონისძიება გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ცენტრთან არსებულმა ქართულმა საკვირაო სკოლამ (ხელმძღვანელი ცინარი ღვალაძე).
ღონისძიებაში, საკვირაო სკოლის აღსაზრდელებთან და პედაგოგებთან ერთად, მონაწილეობდა ქ. ბარიში მცხოვრები ქართველი მუსიკოსი, ირმა ბაზერაშვილი.

თესალონიკში ყოველწლიური საახალწლო ღონისძიება გაიმართა

15 იანვარს, ქ. თესალონიკში, თესალონიკის ქართულმა საზოგადოებამ - „საქართველო“, ორგანიზაციასთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლთან ერთად, ყოველწლიური საახალწლო ღონისძიება გამართა.
ანსამბლის წევრები მაყურებლის წინაშე ქართული ტრადიციული ცეკვებით წარსდგნენ. ღონისძიების დასასრულს პატარებს თოვლის ბაბუა ესტუმრა და საახალწლოდ საჩუქრები დაურიგა.
ღონისძიება ჩატარდა ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და ანსამბლის ხელმძღვანელის, რუსუდან საბაძის, ასევე, ორგანიზაციის აქტიური წევრების, მარიამ მინაძის, ნინო ნოსელიძისა და ზაზა ხელაძის ორგანიზებით.

ფლორენციის ქართულმა საკვირაო სკოლამ საახალწლო ზეიმი გამართა

17 იანვარს, ქ. ფლორენციის წმ. ნინოს სახელობის სამრევლოსთან (ხელმძღვანელი არქიმანდრიტი ანდრია ლაცაბიძე) არსებულ ქართულ საკვირაო სკოლაში საახალწლო ზეიმი გაიმართა.
საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა ღონისძიებისთვის მორთეს საახალწლო ნაძვის ხე, შეასრულეს სიმღერები და საცეკვაო ნომრები.

ათენში ელისო ვირსალაძის კონცერტი გაიმართა

19 იანვარს, ქ. ათენის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული და თვალსაჩინო მუსიკოსის, საქართველოს სახალხო არტისტის, ელისო ვირსალაძის კონცერტი გაიმართა.
ქართველი პიანისტი საბერძნეთის სახელმწიფო ორკესტრთან ერთად მაყურებლის წინაშე წარსდგა მუსიკალური პროგრამით - „ლისტი და ბერძნული მითოლოგია“. მუსიკოსმა, ასევე, შეასრულა შუმანის საფორტეპიანო თხზულება.
კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა და მაყურებლის დიდი ოვაციები დაიმსახურა.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ბერძნული საზოგადოების, ქართული დიასპორისა და საბერძნეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები.

პარიზში წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დაწესებული ყოველწლიური დღესასწაული აღინიშნა

20 იანვარს, ქ. პარიზში, ასოციაციის „ქართველთა კულტურის კერა - ლაზი“ ორგანიზებით, ქ. პარიზის წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დაწესებული ყოველწლიური დღესასწაული აღინიშნა.
ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ასოციაციასთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ლაზი“ (ხელმძღვანელები - ლალი ჯაშიაშვილი და ირაკლი ობოლაძე), რომელიც მაყურებლის წინაშე ქართული ტრადიციული ცეკვებით წარსდგა.

ათენში ქართულმა დიასპორამ საახალწლო ღონისძიება გამართა

21 იანვარს, ქ. ათენის თეატრში „ალექსანდრია“, დიასპორული ორგანიზაციის - „ათენის ქართული სახლი“ და მასთან არსებული ვახტანგ VI-ის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის ორგანიზებით, საახალწლო ღონისძიება გაიმართა.
საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს სპექტაკლი „ალალი და ორი შაური“, შეასრულეს ქართული ცეკვები და სიმღერები.
მაყურებლის წინაშე, ასევე, წარსდგნენ ქალთა ანსამბლი „მაგნოლია“ და სოლო შემსრულებლები, ანა იმედაძე-გეგეჭკორი, ნათელა ღაჭავა და ზიზო ქავჟარაძე.
ღონისძიებას ესწრებოდნენ საბერძნეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები.
საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა, დავით კორძაძემ მადლობა გადაუხადა სკოლის დირექტორს, დარეჯან ღამბაშიძეს და სკოლის პედაგოგებს საღამოს ორგანიზებისთვის.

ნიურნბერგის ქართულმა კულტურის ცენტრმა „ინკო“ 2024 წლის დაწყება იზეიმა

21 იანვარს, გერმანიის ქ. ნიურნბერგის ქართულმა კულტურის ცენტრმა „ინკო“ ახალი, 2024 წლის დაწყება იზეიმა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს კულტურის ცენტრთან არსებული საკვირაო სკოლისა და ცეკვის სტუდიის „იბერია“ ბავშვებმა.
კულტურის ცენტრის თავმჯდომარემ, ქეთევან ბორუფკა-საბაშვილმა საბავშვო სპექტაკლით, საკვირაო სკოლის ქართული ენის მოსწავლეებთან ერთად, სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამოგზაურა. სპექტაკლი ცეკვის სტუდიის მოსწავლეებმა, ხელმძღვანელმა, რუსუდან ფილაური-პალუხმა, ქორეოგრაფმა, გიგი გიგიტაშვილმა და კულტურის ცენტრის აქტიურმა წევრმა, ნენე გაგუა-თისმა გააფორმეს. სპექტაკლის დასრულების შემდეგ ბავშვებს გადაეცათ საჩუქრები, სტუმრებს კი შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ ქართული სამზარეულო.

შვეიცარიაში ქართული დიასპორის წარმომადგენლების სტუმრობა ბეილერის ფონდის მუზეუმში

23 იანვარს, ქ. ბაზელში, შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, შედგა შვეიცარიაში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლების ვიზიტი ბეილერის ფონდის მუზეუმში.
ღონისძიების ფარგლებში, დიასპორის წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცათ დაეთვალიერებინათ ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა. ასევე, გაიმართა ფიროსმანის შემოქმედებასა და ცხოვრებაზე, საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებით და ცნობილი ქართველი მხატვრის, თემო ჯაფარიძის ავტორობით გამოცემული სამენოვანი წიგნი-ალბომის - „ნიკო ფიროსმანი, ცხოვრება და შემოქმედება“, პრეზენტაცია. წიგნები საჩუქრად დიასპორის წარმომადგენლებს გადაეცათ.

საბერძნეთში ქართული ანსამბლების კონცერტები გაიმართა

23 იანვარს, ქ. თესალონიკში, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრის „კავკასია“ ორგანიზებით, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური საკონსულოს მხარდაჭერით, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლის „მართვე“ და თესალონიკის ქართული ცეკვის ანსამბლის „საქართველო“ ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

კონცერტები 27 იანვარს კუნძულ კერკირაზე გაგრძელდა. ქართულ-ბერძნული მრავალწლიანი თანამშრომლობის შედეგად, კერკირას მუნიციპალიტეტმა, საგანმანათლებლო ასოციაცია „სინიელების“ ორგანიზებითა და ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრის „კავკასია“ აქტიური ჩართულობით, უმასპინძლა ქართულ ანსამბლებს „მართვე“ და „კავკასია“.

კონცერტი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და ორგანიზატორების მისასალმებელი სიტყვებით გაიხსნა, რომლებმაც ხაზი გაუსვეს ქართულ-ბერძნულ მჭიდრო კულტურულ კავშირებსა და ამ ურთიერთობების კიდევ მეტად გაღრმავების მნიშვნელობას.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა, დავით კორძაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ბერძენ მასპინძლებს მაღალ დონეზე ორგანიზებული ღონისძიებისთვის და წარმატებები უსურვა მონაწილე ანსამბლებს.

კონცერტი საქართველოს და საბერძნეთის ეროვნული ჰიმნებით გაიხსნა და დასრულდა ბერძნული ეროვნული ცეკვით - ქართველი და ბერძენი მონაწილეების შესრულებით.



ბერლინში დიტო ცინცაძის ფილმის პრემიერა გაიმართა

23 იანვარს, ქ. ბერლინის კინოთეატრში „ბაბილონი“, გერმანიაში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორის, დიტო ცინცაძის ფილმის, „Roxy“ პრემიერა გაიმართა.

ფილმის ჩვენებას ესწრებოდნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლევან იზორია, ასევე, გერმანიის კინემატოგრაფიის, კულტურის სხვადასხვა სფეროებისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ნორვეგიაში საქართველოს საელჩომ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს უმასპინძლა

24 იანვარს, ნორვეგიის სამეფოში საქართველოს საელჩომ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს უმასპინძლა.
დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ნორვეგიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ზურაბ ბერიძემ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა დიასპორის როლსა და მნიშვნელობაზე, ისაუბრა სამომავლო გეგმებზე და აღნიშნა, რომ მსგავსი სახის შეხვედრებს საქართველოს საელჩოში რეგულარული სახე ექნება.
შეხვედრას ესწრებოდნენ საელჩოს უფროსი მრჩეველი, თეა თოდუა და საელჩოს მრჩეველი და საკონსულო ფუნქციების შემსრულებელი, ქეთევან მარკოზია.
შეხვედრაზე დიასპორის წარმომადგენლებს გააცნეს ინფორმაცია დიასპორული პროექტებისა და პროგრამების შესახებ, განხილულ იქნა სათვისტომოს ჩამოყალიბების პერსპექტივა, ქართული საკვირაო სკოლის ამოქმედება. საელჩომ გამოთქვა მზადყოფნა, რომ მხარს დაუჭერს დიასპორის აქტივობებსა და ინიციატივებს, რომლებიც ნორვეგიის სამეფოში საქართველოს წარმოჩენის მიზანს ემსახურება.
შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ განაგრძობენ მჭიდრო თანამშრომლობას არსებული კავშირების შემდგომი გაღრმავების მიზნით.

ისრაელში ქართული დიასპორის ორგანიზებით მასშტაბური ღონისძიება ჩატარდა

25 იანვარს, ქ. ბათ იამის საკონცერტო დარბაზში „ბელაჯიო“, დიასპორული ორგანიზაციების - საქველმოქმედო ტურისტული გაერთიანების „თევერო ტური“ და ანსამბლის „ფესვები“ ინიციატივითა და ორგანიზებით, ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ლაშა ჟვანიას სამსახურებრივი ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, მასშტაბური გამოსამშვიდობებელი საღამო-კონცერტი გაიმართა.
ღონისძიებაზე მოწვეული გახლდნენ ისრაელში ქართველ ებრაელთა თემის წარჩინებული წარმომადგენლები, ისრაელის მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის და ქნესეთში საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრები, ასევე, ისრაელის რამდენიმე ქალაქის მერი, პროფკავშირის ლიდერები და ქვეყნის ღვაწლმოსილი მოქალაქეები.
მოწვეულმა სტუმრებმა და ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა ელჩისადმი მიმართულ მისასალმებელ სიტყვაში ხაზი გაუსვეს მის წვლილს ისრაელში საქართველოს პოპულარიზაციისა და ქართული კულტურული კვალის ძიებისა და წარმოჩენის საქმეში, ასევე, ისრაელში ქართული დიასპორის გაფართოებისა და გაძლიერების საქმეში.

ათენში ოთარ იოსელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა

25 იანვარს, ქ. ათენის ისტორიულ კინოთეატრში „სტუდიო“, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრის „კავკასია“ ორგანიზებით და საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ეგიდით, გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორის, ოთარ იოსელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.
დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა, დავით კორძაძემ, რომელმაც საბერძნეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის და ქართულ-ბერძნული კავშირების გაძლიერებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელი გადასცა კინოთეატრის დირექტორს, ველისარიოს კოსივაკისს.
ღონისძიების ფარგლებში ნაჩვენები იქნა ოთარ იოსელიანის ადრეული შემოქმედების ფილმი, „გიორგობისთვე“ ბერძნული ტიტრებით. ფილმის ჩვენების შემდეგ კინოხელოვნების დარგის სპეციალისტებმა ისაუბრეს ცნობილი ქართველი რეჟისორის შემოქმედების შესახებ.
ღონისძიების ფარგლებში, კინოთეატრის შენობაში ოთარ იოსელიანის სახელობის სავარძელი გაიხსნა.
საღამოში მონაწილეობა მიიღეს ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლმა „მართვე“ და ათენში მოქმედმა მუსიკალურმა სტუდიამ „კავკასია“.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ბერძენი სტუმრები.

შეხვედრა ლიეტუვაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

26 იანვარს, ლიეტუვის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით შეხვედრა გაიმართა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან. ლიეტუვის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სალომე შაფაქიძემ თანამემამულეებს სამომავლო გეგმები გაუზიარა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა 2024 წელს საქართველო-ლიეტუვის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავის სათანადოდ წარმოჩენის მნიშვნელობას, დამსწრეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს გასული წლის ბოლოს ლიეტუვაში ქართული საკვირაო სკოლის გახსნის ფაქტი და იმედი გამოთქვეს, რომ სკოლა ხელს შეუწყობს ქართველი ბავშვების და ახალგაზრდების კავშირის შენარჩუნებას სამშობლოსთან. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ პროექტებში თანამემამულეების აქტიური ჩართვის მნიშვნელობაზე, რაც ლიეტუვაში ქართული კულტურის პოპულარიზაციას და ღირსეულად წარმოჩენას შეუწყობს ხელს.
შეხვედრაზე საქართველოს კონსულმა ლიეტუვაში ეკატერინე ჭავჭავაძემ დიასპორის წევრებს საკონსულო მომსახურების სიახლეები გააცნო.

ანსამბლი „ფესვები“ ვილნიუსის საერთაშორისო ფესტივალზე

26-28 იანვარს, ქ. ვილნიუსში, ტურიზმისა და აქტიური დასვენების რიგით მე-11 საერთაშორისო გამოფენა „Adventur 2024“ გაიმართა.
ღონისძიების კულტურულ ნაწილში მონაწილეობა მიიღო ლიეტუვაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებისგან შემდგარმა ანსამბლმა „ფესვები“, რომელიც მაყურებლის წინაშე ქართული ხალხური სიმღერებითა და ცეკვებით წარსდგა.
წლევანდელ გამოფენაზე ქართულ მხარეს წარმოადგენდა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. ასევე, მონაწილეობდნენ ქართული ტურისტული კომპანიები - Pin Georgia, Orbi Group Georgia, Mamberi Georgia და სასტუმრო Castello Mare.

ანსამბლმა „ლაზი“ ლევილში გამართულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა

27 იანვარს, საფრანგეთის რესპუბლიკაში, ლევილის მერიის ორგანიზებით, საქართველოსადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიება გაიმართა. ლევილის მერის მიწვევით, ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა ქ. პარიზში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „ლაზი“.
ღონისძიებას ესწრებოდნენ საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, გოჩა ჯავახიშვილი, ქართული დიასპორის წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები.

მილანში მანანა ტოფაძის თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა



28 იანვარს, ქ. მილანში, საზოგადოებამ „სამშობლო გულით სატარებელი“ დაარსებიდან მეცხრამეტე „ნინოობა“ იზეიმა, რომელიც, ტრადიციულად, ქართული კულტურის პოპულარიზაციას მიეძღვნა. ამჯერად საზოგადოებამ იტალიელ და ქართველ მკითხველს წარუდგინა ბერნის უნივერსიტეტის დოცენტის, მანანა ტოფაძის მიერ ქართულიდან იტალიურად თარგმნილი სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც გამომცემლობა „ილ საჯოს“ მიერ საქართველოს მწერალთა სახლის მხარდაჭერით გამოიცა.

საღამო მისასალმებელი სიტყვით გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ, ნუნუ გელაძემ და თარგმანის ავტორს წარმატებები უსურვა.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ქ. მილანში საქართველოს გენერალური საკონსულოს უფროსი მრჩეველი, დავით გომართელი, რომელმაც სულხან-საბას წიგნი დიპლომატიურ ჭრილში განიხილა და აღნიშნა, რომ „სულხან-საბასა და ქართველი ხალხის ოცნება - ევროპასთან დაახლოება და მის ღირსეულ წევრად გახდომა, ფაქტობრივად, ფრთებს ისხამს“.

მთარგმნელმა მანანა ტოფაძემ ისაუბრა იმ ისტორიულ კონტექსტზე, რომლის ფონზეც შეიქმნა სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“ და იმ გამოწვევებზე, რომლებიც მეთვრამეტე საუკუნის ქართული ტექსტის თარგმანთან იყო დაკავშირებული. მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა წინასიტყვაობის ავტორს, საქართველოს ყოფილ ელჩს წმინდა საყდართან, ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონს და შესავლის ავტორს, ჟურნალისტ გაბრიელე ფონტანას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO